ხელშეკრულება №144
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 13 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze“ (შემდგომში – შემსყიდველი),წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ტულუშის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გაზ-იმპექსი“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ანდრია ლილუაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze “ს საკუთარი სახსრებით შეკუმშული ბუნებრივი აირის (გაზის) (GPV09123000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

*1.2 შესყიდვის ობიექტია 1680(ერთიათასექვსასოთხმოცი)კუბ.მ. ბუნებრივი აირი (გაზი) (შემდგომში საქონელი).ერთი კუბ.მ. ღირებულებაა* 1.19 ერთი ლარი და ცხრამეტი თეთრი.

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).ერთი კუბ.მ. ფასი შეადგენს 1.19 ერთ ლარს და ცხრამეტ თეთრს.

2.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1999.20 ერთი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ ლარს და ოც თეთრს. რაც შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს,მათ შორის დ.ღ.გ.-ს.

## *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს პლასტიკური ბარათით ან/და ტალონური სისტემით მიმწოდებლის გაზგასამართ სადგურზე.

4.2შესყიდვის ობიექტის გაცემა შემსყიდველისათვის განხორციელდება ეტაპობრივად. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის სარეალიზაციო ქსელში შემავალი გაზგასამართი სადგურები.

## *5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

5.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, საგადასახადო ანგარიშფაქტურაში მითითებული შეძენილი შეკუმშული ბუნებრივი აირის ( გაზის) საერთო რაოდენობის შესაბამისად. საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

## *6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

7.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
7.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
7.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
7.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## *8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## *9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

9..1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *10. ფორს-მაჟორი*

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;
10..3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება,ინსპექტირებას და აღნიშნული საწვავის ჩასხმას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze "-ს სასწავლო პროცესის მენეჯერი იულიონ ქუჯოშვილი .ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;
12.2.. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

*13. სხვა პირობები*

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
13..3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქგორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GoriCITI HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze”
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973

დირექტორი: გ. ტუღუში

„ მიმწოდებელი“

შპს „ გაზ იმპექსი“
მისამართი ქ.თბილისი კანდელაკის № 1
საბანკო რეკვიზიტები სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის ნომ.GE90TB7026836020100015
ს.კ. 205141979

დირექტორი: [illegible]ლილუაშვილი